მომსახურების შესყიდვის ხელშეკრულება № 1 0

სოფელი დუისი 01 მარტი 2018 წელი

ერთის მხრივ, სსიპ ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ დუისის საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ლილი სვიაკაურის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ტექნოვინი" , (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი ხელმძღვანელის მურმან ჭარელიძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე_3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია: სკოლის ცენტრალური გათბობის სისტემის სარემონტო სამუშაოების მომსახურების შესყიდვა (CPV:50720000) ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს 350 (სამასორმოცდაათი) ლარს და მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადსა და მოსაკრებელს

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების 6.1 პუნქტში მითითებული პირი.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.3. ანგარიშსწორება განხორციელდება მომსახურების მიღების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 4. მომსახურების მიღების ადგილი და ვადა

4.1. მომსახურების მიღების ადგილია შემსყიდველის ადგილსამყოფელი - სოფელი დუისი.

4.2. მომსახურების ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაო უნდა შესრულდეს ხელშეკრულების დადებიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;

5.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) ხარვეზის შემთხვევაში უზრუნველყოს უხარისხოდ შესრულებული მომსახურების გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

გ) უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა. კერძოდ:

- სკოლის რესურსოთახის და ღობის ნაწილის სარეაბილიტაციო სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.

მუხლი 6. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს სსიპ სოფელ დუისის საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი .

6.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მომსახურების ხარისხის შემოწმებას.

მუხლი 7. პირგასამტეხლო

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

7.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3 (სამ) პროცენტს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს და შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 8. ფორსმაჟორი

8.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

8.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს ფორსმაჟორული გარემოების შექმნის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

8.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 10. დავები, მათი გადაწყვეტის წესი და გამოსაყენებელი სამართალი

ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2018 წლის 31 მარტის ჩათვლით.

მუხლი 12. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და თითოეული ინახება მხარეებთან.

მუხლი 13. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი: სსიპ ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ დუისის საჯარო სკოლა ს/კ 224628124 მის. : ქ. ახმეტა, სოფელი დუისი ტელ: 591012525 საბანკო რეკვიზიტები: ს/ს ,, ლიბერთი ბანკი"-ის ახმეტის ფილიალი ბანკის კოდი LBRTGE22 ა/ა GE94LB0121189483158000 დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი _____ (ხელმოწერა)	მიმწოდებელი: შპს „ტექნოვინი" ს/კ 424612208 მის.: ქ. ახმეტა, ყაზბეგის 3 ტელ.: 558 590 590 საბანკო რეკვიზიტები: ს/ს ,,საქართველოს ბანკი" ბანკის კოდი BAGAGE22 ა/ა - GE75BG0000000907659500 ხელმძღვანელი _____/ მურმან ჭარელიძე (ხელმოწერა)

მიღება - ჩაბარების აქტი N 10/1

სოფელი დუისი

05 მარტი 2018 წელი

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი ერთის მხრივ შპს „ტექნოვინი“ (შემდგომში - მიმწოდებელი)წარმოდგენილი მისი ხელმძღვანელის მურმან ჭარელიძის სახით და მეორეს მხრივ, სსიპ ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ დუისის საჯარო სკოლა(შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენელი მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ლილი სვიაკაურის სახით, წინამდებარე აქტით ვადასტურებთ, რომ 2018 წლის 01 მარტს დადებული ხელშეკრულება N 10-ის თანახმად, მიმწოდებელმა შემსყიდველს გაუწია, ხოლო შემსყიდველმა მიიღო სკოლის ცენტრალური გათბობის სისტემის სარემონტო სამუშაობის მომსახურების შესყიდვა ღირებულებით --350-------(სამასორმოცდაათი) ლარი (გადასახადების ჩათვლით).

ზემო აღნიშნულს ვეთანხმებით, რასაც ვადასტურებთ ხელმოწერით:

მიმწოდებელი:	დამკვეთი:
შპს „ტექნოვინი“	სსიპ ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ დუისის საჯარო სკოლა
	დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
ჭ.	
მურმან ჭარელიძე	ლილი სვიაკაური

ლიბერთი ბანკი
LIBERTY BANK

ლიბერთი ბანკი

საგადახდო დავალება #: 5414

თარიღი: 2018 წლის 15 03, ხუთშაბათი

GEL	
GEL	
350.00	
თანხა სიტყვიერად	
სამას ორმოცდაათი GEL და 00	

გადამხდელის დასახელება:	სსიპ ,,ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ დუისის საჯარო სკოლა"		
		ანგარიში (დებეტი):	GE94LB0121189483158000
გადამხდელის ბანკი:	სს "ლიბერთი ბანკი"	ბანკის კოდი:	LBRTGE22
გადასახადის გადამხდელის დასახელება:	სსიპ სოფელ დუისის საჯარო სკოლა		
საიდენტიფიკაციო კოდი:	224628124	საბიუჯეტო შემოსავლის კოდი:	
მიმღების დასახელება:	შპს "ტექნოვინი"		
საიდენტიფიკაციო კოდი:	424612208	ანგარიში (კრედიტი):	GE75BG0000000907659500
მიმღების ბანკი:	სს "საქართველოს ბანკი"	ბანკის კოდი:	BAGAGE22

ბანკის აღნიშვნები

ბანკში შემოსვლის თარიღი: 15.03.2018

ხელმოწერა:

გადახდის დანიშნულება:	ცენტრალური გათბობის სისტემის სარემონტო სამუშაოების ღირებულება

ხელმოწერა:

ბ.ს.

ლიბერთი ბანკი
LIBERTY BANK

დოკუმენტი დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან